მივლინების ანგარიში

მივლინების მიზანი: მონაწილოება საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) და კანადის პარლამენტის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეოთხე გლობალურ კონფერენციაში

დელეგაციის წევრები:

- ზაზა გაბუნია;
- დავით სონღულაშვილი;
- ლევან გოგიჩაიშვილი;
- ცოტნე ზურაბიანი;
- ირაკლი ბროკიშვილი - დელეგაციის მდივანი.

მივლინების ადგილი: ოტავა, კანადა

მივლინების თარიღი: 2017 წლის 16-20 ნოემბერი

ა.წ. 17-18 ნოემბერს, კანადის დედაქალაქ ოტავაში, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) და კანადის პარლამენტის მიერ ერთობლივი ორგანიზებით, გაიმართა ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეოთხე გლობალურ კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იყო „ახალგაზრდა პარლამენტარები, როგორც ჩართულობის მამოძრავებლები". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 55-მდე ქვეყნის 150-მდე პარლამენტის წევრმა, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრებმაც, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა. ასევე, მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს კანადის პარლამენტის თემთა პალატის და სენატის თავმჯდომარეებმა, ასევე გაჟღერდა გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის და კანადის პრემიერ-მინისტრის მიმართვები.

მიგრაცია და სოციალური ჩართულობა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობა და ახალგაზრდების როლი ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში, ეს ის სამი მთავარი თემა იყო, რომლის გარშემოც გაიმართა დებატები კონფერენციის განმავლობაში.

კონფერენციის მონაწილეებმა გამოხატეს შეშფოთება ახალგაზრდა მიგრანტებთან და ლტოლვილებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ანგარიშებზე, სადაც საუბარია მათ მიმართ სიძულვილის ენის, ქსენოფობიური და რასისტული დამოკიდებულების გამოხატვის შესახებ. კანადის მხარემ საშუალება მისცა ახალგაზრდა წარმატებულ ემიგრანტებს მიემართათ კონფერენციის მონაწილეებისთვის და ესაუბრათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვან ჩართულობაზე. მათი ისტორიები ემიგრანტების ახალგაზრდა ნაწილის ნოვატორული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ნათელი მაგალითად წარმოჩინდა. პარლამენტის წევრებმა ამ მიმართულებით განსახორციელებელი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ აქტიური დებატები გამართეს, სადაც სხვადასხვა ქვენების მიღწევებზე და დაგეგმილ რეფორმებზე იმსჯელეს.

აქტიური დებატები გაიმართა საკანონმდებლო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ. მაშინ, როდესაც მსოფლიო მოსახლეობის 50%, 30 წლამდე მოსახლეობას წარმოადგენს, მსოფლიო პარლამენტებში 30 წლამდე ახალგაზრდები, მხოლოდ 1.9%-ით, ხოლო 45 წლამდე, 29%-ით არიან წარმოდგენილები. ამის შესახებ საპარლამენტთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა გაბრიელა კუევას ბარონმა ისაუბრა, რომელიც ამ ორგანიზაციის არსებობის 128 წლიანი ისტორიის განმავლობაში, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, გლობალურ დისკუსიებში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გადაწვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობის აუცილებლობას, რაც, მისი აზრით, სოციალური სამართლიანობის წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით საპარლამენტთაშორისო კავშირი აქტიურად მუშაობას განაგრძობს. დებატებზე საუბარი შეეხო ასევე საარჩევნო სიებში კვოტირების საკითხზე.

კონფერენციის დებატების ერთ-ერთი თემა იყო ახალგაზრდების როლი ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მიღწევის პროცესში. რა წვლილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდა თაობას ამ მიმართულებით პოზიტიური დინამიკის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად. დებატების დროს დელეგატებმა კოლეგებს თავიანთ ქვეყნებში არსებულ მოდელებზე და ეკონომიკაში არსებულ ზოგად გამოწვევებზე მოაწოდეს ინფორმაცია. ერთხმად აღინიშნა, რომ ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა და მათი ნოვატორული პოტენციალის გამოყენება ეკონომიკის ყველა სექტორში, მნიშვნელოვანი პოზიტივის მომტანია. გაიმართა დებატები განათლების სისტემის შესახებაც.

ძალიან საინტერესო დებატები გაიმართა თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში სოციალური მედიის მნიშვნელობაზე, მისი გამოყენების წესებზე და გავლენის დონეზე. თემა მიყავდათ კანადაში, „ფეისბუქის" სოციალური პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელს და კანადის პრემიერ მინისტრის სოციალური მედიის მიმართულების მენეჯერს. დელეგატები აქტიურად ჩაერთნენ თემის განხილვაში, აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით თანამედროვე პოლიტიკოსებს ბევრი სამუშაო აქვთ, რადგან სოციალური მედიის გავლენა საზოგადოებაზე ყოველდღიურად ძლიერდება.

ქართული დელეგაციის წევრები, კონფერენციის მსვლელობის განმავლობაში, შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს სხვადასხვა პარლამენტებიდან. ისაუბრეს და გამოცდილება გაცვალეს მიმდინარე საკითხების გადაჭრის გზებზე და მომავალ თანამშრომლობაზე. ქართველი დეპუტატები, არაოფიციალურ გარემოში შეხვდნენ და გაესაუბრნენ კანადის პარლამენტის ორივე პალატის სპიკერს.

სემინარის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა საბოლოო შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც სემინარზე განხილული ყველა საკითხია წარმოდგენილი.

ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეხუთე გლობალური კონფერენციას, 2018 წელს, ბაქო უმასპინძლებს.

მივლინების ანგარიში მოამზადა საპარლამენტთაშორისო კავშირში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანმა, ირაკლი ბროკიშვილმა.